პროლეტარეებო ქვეყანასა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ხუთშაბათი
23
იანვარი
№ 19
(16145)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

შეჯიბრების მოწინავენი

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. ახალი წლის პირველი დღიდანვე შეკვეთების გრაფიკს იცავენ ყველა საამქროში. თვის პირველი ნახევრის შედეგები ნათლად მოწმობენ, რომ ქარხნის კოლექტივი იანვრის გეგმას ვადამდე შეასრულებს. ხურამზე: მოწინავე ამწყობი ზეინკლები ი. ბაჩიაშვილი (მარცხნივ) და თ. მეტრეველი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 130 პროცენტით ასრულებენ.

გ. გოგოხსის ფოტო.

სოფლის კომუნისტები — ავანგარდში

ხუთწლედის დამამთავრებელი წელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა კარგად დაიწყეს. ამაზე მეტყველებს კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მიღებული პირველი დღეების შრომის ამსახველი ცნობები. ეს იმის შედეგია, რომ დამამთავრებელი წლის სიუხვეს მათ ჯერ კიდევ გასული წელს ჩაუყარეს საფუძველი, როცა მარცვლეულის, მზესუმზირასა და ციტრუსების დამზადების ხუთწლიანი გეგმები ოთხ წელიწადში შესრულდა, ხოლო ჩაის ფოთლის დამზადების მოცულობამ უკვე მიაღწია ამ დონეს, რომელიც გათვალისწინებულია ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმით.

შარშან, განმსაზღვრელ წელს სახელმწიფოს მიეყიდა 312 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც დავალებაზე 40 ათასი ტონით მეტია. გადამეტებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხილის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ოთხწლიანი დავალება.

აგროწესების ზუსტად დაცვით, პროგრესული მეთოდებით დაითესა საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურები. ბაღ-ვენახებში, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში თავის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარდა საშემოდგომო სამუშაოები, წარმატებით მიმდინარეობს ზამთრის სამუშაოები, სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი, უფრო მატულობს ფერმების მუშაკთა შრომის ბარაქა.

მეცხრე ხუთწლედის ოთხი წლის, განსაკუთრებით მეოთხე წლის შედეგები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა თანმიმდევრულად ვითარდება იმ კურსის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ. ამ ყრილობის გადაწყვეტილებათა, მისი სოციალურ-ეკონომიური პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლა არის ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც განსაზღვრავს, როგორც მთელი ქვეყნის, ისე ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელი ცხოვრების რიტმსა და ხასიათს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთხუთმეტე პლენუმზე აღინიშნა, რომ ბოლო დროს სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა შესამჩნევად გააუმჯობესეს პარტიის მახარაძის, აბაშის, ახალქალაქის, მარნეულის, ბოლნისის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, გორის, წალენჯიხის რაიონულმა კომიტეტებმა.

მაგრამ ერთგვარი წარმატებები ეკონომიკაში, საგეგმო დავალებათა ციფრები არ უნდა იწვევდეს პარტიული კომიტეტების თვითდამშვიდებას, რადგან რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის გასაჯანსაღებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს და ამით მტკიცე საძირკველი ჩაეყაროს შემდგომ ეკონომიურ აღმავლობას და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სასოფლო რაიონების პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის, პატიოსანი მშრომელის ვალია აქტიურად, გულდაჯერებით, მთელი პასუხისმგებლობით იბრძოლონ იმ ძირითადი ამოცანების, გადაუჭრელი პრობლემების განხორციელებისათვის, რომლებიც დასახულია ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმით. თერჯოლის, ვანის, სამტრედიის, ცხინვალის პარტიის რაიკომების საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, ყველა კომუნისტს, სპეციალისტსა და აქტივისტს თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა ახსოვდეთ, რომ ამ რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მყოფნებული ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მევენახეობის, მებაღეობის, მებოსტნეობის შემდგომი განვითარებისათვის; სუსტად ვითარდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება თეთრი წყაროს, ჯავის რაიონებში.

ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისება. ვხედებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა დაშრობილი მიწები, რაზეც ათეულ ათასობით მანეთი დიახარჯა, დაუდევარი, გულგრილი დამოკიდებულების გამო, ხელმეორედ დასაშრობია და ბირძალირი გაგებით შრომა და დიდძალი თანხები წყალში გადაიყარა.

უკანასკნელი თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო კონტროლის შესუსტების გამო გადაუჭრელ პრობლემად გადაიქცა მიწების მაღალნაყოფიერად გამოყენება, შესუსტდა მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლა. ამის გამოა, რომ ბევრგან თუ ყურძნის, ხილ-ბოსტნეულის, მარცვლეულის რეკორდულ მოსავალს იღებენ, ზოგან არათუ საშუალო რაიონულ, არამედ საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებსაც ვერ აღწევენ. ეს იყო ამბროლაურის, წალკის, ორჯონიკიძის, თეთრი წყაროს რაიონების ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში. ეს ხდება იმიტომ, რომ სოციალისტური შეჯიბრება ჯერ კიდევ ზოგან ფორმალურ ხასიათს ატარებს, არ იბრძვიან მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების გაფრცელებისათვის და წლობით ერთ ადგილს ტკეპნიან. ნათქვამია, ზღვა კოეზი და ცალეკეთ. უყურადღებობით თანდათან, წლების განმავლობაში ათასობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწა დაიკლება საზოგადოებრივ მეურნეობებს. ეს რესპუბლიკის ყველა სასოფლო რაიონს ეხება და ამაზე მთელი ხელიზღვანელობით უნდა იფიქრონ სოფლის კომუნისტებმა, სპეციალისტებმა, მშრომელებმა.

სოფლის მეურნეობის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია და კონცენტრაცია იმ გზით, რომ გავადიდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ამისათვის საჭიროა მკეთრად ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ირიგაციის, ქიმიზაციისა და ელექტროფიკაციის დონე.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა რაც შეიძლება ღრმად, უფრო კონკრეტულად ჩავწვდეთ ამჟამად მიმდინარე ყველა მოვლენასა და ამბავს, ეს სურვილი ჩავუნერგოთ ყოველ პარტიულ და სამეურნეო მუშაკს, უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელ მუშაკებს. ყოველი მუშაკის საარსებო მოთხოვნილება უნდა გახდეს კონკრეტულობა მთელი გეგმებით, ბრძოლა მინდობილი საქმის მაღალ დონეზე შესრულებისათვის. უამისოდ არ არსებობს პარტიული სტილი მუშაობაში, არ არსებობს ყაირათიანობა, გაჭანება, მასშტაბურობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე თქვა, რომ მარტო თანაგრძნობა და სიტყვიერი მხარდაჭერა საქმარისი არ არის, საჭიროა ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის, და უწინარეს ყოვლისა, კომუნისტების აქტიური, მტკიცე მოქმედება, რომლებიც არა მარტო კეთილსინდისიერად უნდა შრომობდნენ, არამედ გამოდიოდნენ. როგორც პარტიის პოლიტიკური მებრძოლები, საკადრის პასუხს სცემდნენ ყველას, ვისაც არ სურს ფეხი აუწყოს ცხოვრებას. ესწრაფვის ძველებურად იცხოვროს. ეს მეტად საფიქრალია ნათელია. იგი განსაზღვრა საქართველოს კომუნისტურ კომიტეტის გასული წლის ოქტომბრის პლენუმმა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის მერვე სესიამ. ახლა მთავარია ენერგიული, შემართებული შრომა ამ დავალებათა შესასრულებლად.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, რომელიც ამავე დროს იქნება XXV ყრილობის წინა წელი. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს დიდი დაძაბული შრომა მოელით. საქართველოს კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა — კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა თავიანთი ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ 1975 წლისათვის დასახულ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანათა გადაწყვეტაში.

საქართველოს, სოფლის მუშრომელებო, თქვენი საპატიო ვალია ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ყოველი დღე გადაიქციოთ დამკვრელურად. ყოველი სამუშაო საათი მოახმაროთ სოციუფიზრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას!

სოფლის კომუნისტებო, უფრო მაღლა აფრიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა! დაამაჯილოთ ყოველდღიური კონტროლი, თუ ვინ როგორ ასრულებს გეგმას, ვალდებულებას!

ვინ როგორ ასრულებს გეგმას, ვალდებულებას

ტემპი და რიტმი!

ხუთწლედის 1975 დამამთავრებელი

დევიზი: გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!

ამ დღეების გმირები

მან დაიწყო 1977 წელი

ჭიათურა. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს სახელგანთქმული ვეირაბგამყვანი, სოციალისტური შრომის გმირი გრ. ტყემალაძე უნივერსალური მაღაროელია. იგი მაღაროელის ყველა პროფესიას ჩინებულად ფლობს, მაგრამ განსაკუთრებით მებიგეობაში დახელოვნდა. მაღაროს ჭერის საიმედოდ გამაგრება კი ფრაქტ რთული და სერიოზული საქმეა.

გრ. ტყემალაძემ მეცხრე ხუთწლედის ოთხ წელიწადში 7.124 ჩარჩო დაგვა, რაც დიდი მიღწევაა. მან პირადი ხუთწლედი ჯერ კიდევ 1974 წლის აპრილში შეასრულა. გმირი მაღაროელი ახლა უკვე 1977 წლის ანგარიშში შრომას შეუდგა. იგი ნაყოფიერად მუშაობს ახალ სამეურნეო წელს.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირი გრ. ტყემალაძე.

რ. ბუხრამეულის ფოტო.

ყოველი დღე — დამკვრელურად!

გეგეჭკორის რაიონის ვედიკარის საბჭოთა მეურნეობის 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

როგორც ყოველ წელს, გეგეჭკორის რაიონის ვედიკარის საბჭოთა მეურნეობაში ახლაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მეჩაიეობას. მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა-ვალდებულებით უნდა მოგვრიფაფ 1.009 ტონა „მწვანე ოქრო". პლანტაციის კარგი მოვლით, შრომის სწორად მოწყობით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით პირობას გადააჭარბეს — მოკრიფეს და გადასამუშავებლად ჩაის ფაბრიკას ჩაბარეს 1.099 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს შარშანდელ მიღწეულს როდი დაჯერდნენ. პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას რომ გაეცნენ, გადაწყვეტეს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, მოკრიფონ და ახალმწიფოს მიაყიდონ 1.205 ტონა ჩაის ნედლეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.075 ტონისა და შარშან მიღებული 1.099 ტონისა, აწარმოონ 750 ცენტნერი რძე ნაცვლად 740 ცენტნერისა. ასევე გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ხორცის, დაფნის ფოთლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მიხდვრის საგაზაფხულო სამუშაოები შეუფერხებლად რომ ჩაატარონ, მათ გადაწყვიტეს სოფლის მეურნეობის ტექნიკის, მათ შორის ტრაქტორების რემონტის პირველი კვარტალის გეგმა ვადაზე ერთი თვით ადრე შეასრულონ.

მეურნეობაში უკვე შეუდგნენ პირობის შესრულებას. იანვრის ხელსაყრელ ამინდში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციებში მწკრივთა შორის ნიადაგის დამუშავება, ხნავენ, საგაზაფხულო კულტურების დასათესად იმარაგებენ საჭირო რაოდენობით კონდიციურ თესლს.

ეს ვალდებულებანი განხილული და მიღებული მეურნეობის მშრომელთა საერთო კრებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და უკვე შეუდგნენ პირობის შესრულებას თამაკონის, დაბა გეგეჭკორის, ინჭიურის, სალხინოს, ნაჯახაოს, ნაგვაზაოს, კურზეს აბედათისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. („კომუნისტის" კორ.).

ხარისხისათვის ბრძოლა გაჩაღდა

კვაისელი მაღაროელები მთელი დაძაბულობით იბრძვიან წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად მკეთრად ავამაღლოთ ხარისხი. ჩვენთვის დიდი ღირსების საქმეა გამოვუშვათ ტყვიავ-თუთიის მაღალი ხარისხის კონცენტრატები. კვაისის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა მტკიცედ გადაწყვიტა ხუთწლიანი გეგმა ვადამდე ორი თვით ადრე დაამთავროს.

ფაბრიკაში ყოველი დღე კარგი მაჩვენებლებით მთავრდება. კონცენტრატების გამოშვების ვალდებულებას 110—115 პროცენტით ვასრულებთ. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ხარისხს. ვგრძნობთ, რომ საქმე უკეთ მიდის. შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. ამაღლდა შრომის ნაყოფიერების დონე.

ხარისხისათვის ბრძოლა დღითიდღე დაძაბული ხდება.

ვ. ანტონიკი,
კვაისის სამთო საწარმოს გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმოების უფროსი.

მხოლოდ გრაფიკის მიხედვით

თბილისი. ბამბის ფაბრიკის (დირექტორი ი. ლომთათიძე) კოლექტივმა შარშანდელი წლიური გეგმა 12 დეკემბრისათვის შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 250 ათასი მანეთის პროდუქცია. წლეულს საწარმოს კოლექტივმა იგივე საწარმოო თვითთვიზე 200 ტონით მეტი ბამბა უნდა გამოუშვას. დაძაბული გეგმის შესასრულებლად წლის პირველი დღეებიდანვე დამკვრელური შრომა გაჩაღდა და მტკიცე კონტროლი დაწესდა ყოველდღიური დავალების შესრულებაზე. განვლილ დღეებში წარმოების რიტმი არ დარღვეულა, მომხმარებელი გრაფიკის მიხედვით ღებულობს აქაური პროდუქციას — დღეში 10 ტონა ბამბას.

გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი დღეებიდანვე დაწინაურდა საამქრო, რომელსაც ბ. გამყრელიძე ხელმძღვანეულობს. შრომის მისაბამ მაგალითებს იძლევიან ქალები უფროსი შ. გუჯაბაია და მხარშაი ვ. დემურია.

მაღალი ხარისხის პროდუქცია

ცხინვალი. (საკ. კორ.). ელექტროგენერაციული ქარხნის კოლექტივმა იანვრის პირველ დღეებშივე თვითოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება. ქარხნის ყველა უბანმა პროდუქციის გამოშვებაში საგრძნობლად გადააჭარბა შარშანდელ დონეს. იანვრის 15 დღეში ქარხანამ 150 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, რაც დავალებას აღემატება — ხოლო 11 ათასი მანეთით მეტია, ვიდრე შარშან.

დამკვეთებს გაეგზავნათ ელექტროგენერაციული მანქანების პირველი პარტია. გამოშვებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი მაღალ ხარისხზე იქნა შეფასებული.

ქარხანა უკვე შეიტანა ჩვენი ქვეყნის მსხვილი საწარმოების დაკვეთების შესრულებას; ვიბრომანქანების ყარდა ცხინვალელები დამამზადებენ მოწყობილობებს სამთო გამამდიდრებელი კომბინატებისათვის.

ვაშენოთ სწრაფად, ხარისხიანად!

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაკების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა წარმატებით დაამთავრეს გასული წელი. მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1975 წლის გეგმა, და მიიღეს ისინი მოქმედების საბრძოლო პროგრამად.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა და „1975 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინჯსაბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, პასუხად რესპუბლიკის სოფლის მშენებლებმა გადაწყვიტეს თავიანთი წვლილი შეიტანონ მეცხრე ხუთწლედის წარმატებით შესრულების საქმეში და ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1975 წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ეს შეჯიბრება მიმდინარეობს ლოზუნგით: „ვაშენოთ მეტი, უკეთ, ნაკლებ დანახარჯებით". გათვალისწინებულია მიმდინარე წლის საჯარო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ხოლო ხუთწლიანი გეგმა დიდი ოქტომბრის 58 წლისთავისათვის: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შეამცირონ 0.5 პროცენტით; მასალების ყაირათიანი ხარჯვის შედეგად დაზოგონ 2.5 ათასი ტონა ცემენტი, ათასი ტონა ლითონი, ხუთი ათასი კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა.

გათვალისწინებულია საწარმოო, საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების სულ ცოტა 80 პროცენტი საექსპლოატაციოდ გადასცენ „კარგი" და „ფრიადი" შეფასებით; გასულ წელთან შედარებით სამუშაო დროის დანაკარგები შეამცირონ 50 პროცენტით; სოციალისტური შრომის ბრიგადის მეთოდით მომუშავე ბრიგადების რიცხვი გაზარდონ 80-მდე.

დიდ ყურადღებას დაუთმობენ კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

გადაწყვეტილია ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი შეასრულონ მშენებლობის მართვის ორგანიზაციის მეთოდების სრულყოფის, ასამოქმედებელ ობიექტებზე რესურსების კონცენტრაციის, ახალი ეფექტიანი მასალებისა და კონსტრუქციების დანერგვის, სამშენაოთა ხარისხის გაუმჯობესების გზით.

სოციალისტური ვალდებულებანი განიხილეს და მიიღეს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სამშენებლო და საწარმოო ორგანიზაციათა მუშაკების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კრებაზე.

(საქინფორმი).

საბჭოთა მთავრობის პროტესტი

22 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს უ. სტესელს გადაეცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შემდეგი:

1975 წლის 18 იანვარს ღამით ნიუ-იორკში შაუხანის ცეცხლი დაუშინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსის სსრ მუდმივ წარმომადგენლობათა შენობას. ამ შემთხვევის დროს ორი ტყვია მოხვდა მე-5 სართულზე წარმომადგენლობათა საცხოვრებელ ბინებში, სადაც 49 მომენტში ხალხი იყო. მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა ისინი.

როგორც ცნობილია, ეს უკვე მეორე შემთხვევაა, ცოცხლი რომ დაუშინეს წარმომადგენლობათა შენობას. ანალოგიური ტერორისტული აქტი მოხდა 1971 წლის 20 ოქტომბერს, თანაც არც კი დაუჯიათ ის პირნი, რომლებმაც ჩაიდინეს ეს მძიმე დანაშაული — მოსალოდნელად თავს დაესხნენ წარმომადგენლობათა თანამშრომელ საბჭოთა მოქალაქეებს. დაუსჯელი არიან აგრეთვე საბჭოთა მოქალაქეების მიმართ ბევრი სხვა დანაშაულებრივი მოქმედების ორგანიზატორები და მონაწილენი.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ 18 იანვარს საღამოს წარმომადგენლობათა შენობის მახლობლად სიოხისტური „ებრაელთა დაცვის ლიგის" წევრ დამნაშავეთა ჯგუფმა მოაწყეს მორიგი ანტისაბჭოური თავყრილობა, რომელზეც აშკარად იმუქრებოდნენ, რომ ფიზიკურად გაუსწორდებიდნენ საბჭოთა ადამიანებს.

ყოველივე ეს თვალნათლივ მოწმობს, რომ არ სრულდება აღთქმანი და დაპირებები, რომლებიც მრავალჯზის გამოუთქვამს ამერიკის მხარეს იმის თაობაზე, რომ არ დაუშვებდა დანაშაულებრივ მტრულ მოქმედებას ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ და უზრუნველყოფდა მათი საქმიანობისა და ცხოვრების ნორმალურ პირობებს. ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა ასეთი პოზიცია სხვა არა არის რა, თუ არა დამნაშავე ელემენტების ფაქტიური მფარველობა.

საბჭოთა მხარე მეტად სერიოზულად განიხილავს სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლობათა შენობისადმი ცეცხლის დაშენის ახალ ფაქტს. ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებებისა და მოქალაქეების წინააღმდეგ განხორციელებული მტრული აქციები და ამის გამო ამერიკის ხელისუფალთა უმოქმედობა საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმების აღმაშფოთებელი დარღვევაა და, როგორც გასაგები უნდა იყოს, არ შეიძლება ზიანს არ აყენებდეს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას.

საბჭოთა მთავრობა მტკიცე პროტესტს უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმის გამო, რომ ამა წლის 18 იანვარს ჩაიდინეს ტერორისტული აქტი საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ, უფუშად დაარღვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ წარმომადგენლობათა ხელშეუხებლობა, და მოღლის, რომ სასტიკად დასჯიან დამნაშავეებს. არ დაუშვებენ ასეთ შემთხვევებს მომავალში. უზრუნველყოფენ ნორმალურ პირობებს. რასა საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ და ახლა უფლებენ თავიანთ ოფიციალურ ფუნქციებს ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

თუ ამერიკის ხელისუფალნი არ მიიღებენ ეფექტიან ღონისძიებებს ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა დაწესებულებებისა და მოქალაქეების უშიშროების უზრუნველსაყოფად, მთელი პასუხისმგებლობა აქედან გამომდინარე შესაძლო შედეგებისათვის დაეკისრება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას".

„სალუტ-4": ფრენა პროგრამით

საკდესის ცნობა

ფრენის მართვის ცენტრი, 22 იანვარი. (საკდესი). „სალუტ-4" ორბიტულ სამეცნიერო სადგურში მეათე და მეთერთმეტე სამუშაო დღეებში კოსმონავტები ალექსი გუბარევი და გიორგი გრეჩკო განაგრძობდნენ ფრენის დაგეგმილი პროგრამის შესრულებას სადგურის სამეცნიერო აპარატურის დახმარებით გრძელდებოდა დედამიწის ატმოსფეროს ზედა თენების ფიზიკური მახასიათებლების გაზომვები და მზის ულტრაიისფერი გამოსხივების კვლევის ექსპერიმენტები.

ტექნიკური ექსპერიმენტები პროგრამით გრძელდებოდა კოსმოსური ნავიგაციის სამუშაოებთა ოპტიკური, ხელსაწყოების სხვადასხვა ახასიათებლისა და მათი გამოყენების მეთოდების შეფასება.

კოსმონავტები იკვლევ დნენ ეროსნობის ბალიტნას ორგანიზმში სისხლის ბანაწილებაზე და აფასებდნენ ამ ორასსაუთველი მოვლენის პროფილაქტიკისათვის გამოყენებულ საშუალებათა ეფექტიანობას.

„სალუტ-4" სადგურის ეკიპაჟის მორიგი სამუშაო დღე დაიწყო „დღეს 12 საათსა" და 30 წუთზე მოსკოვის დროით სამეცნიერო კონტროლის მონაცემებით, ორივე კოსმონავტის მაჯისცემის სიხშირეა 60 წამში, ვეთაური არტერიული წნევის სიდიდეა ვერცხლისწყლის სვეტის 115X75, ბორტ-ინჟინერისა — 120X75 მილიმეტრი.

სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. ამხანაგები გუბარევი და გრეჩკო თავს კარგად გრძნობენ.

საკომანდო-საზომი კომპლექსის ხელსაწყოებს. მყარი რადიოკავშირი აქვთ სადგურთან და უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიღებასა და დამუშავებას.

„სალუტ-4" სადგურის ფრენა გრძელდება.

მეგობრული ვიზიტით

21 იანვარს მოსკოვში ხანმოკლე მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სტეფან ოლშოვსკი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ს. ოლშოვსკისა და მის თანმხლებ პირებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. როდიონოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ზენონ ნოვაკი. (საკდესი).

მინისტრთა მოლაპარაკება

22 იანვარს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ოლშოვსკის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელიც შეხედულებების სრული ერთიანობისა და გულითადობის ვითარებაში მიმდინარეობს, განხილავდნენ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებსა და ზოგიერთ ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემას.

(საკდესი).

ეშესვედრა საკავშირო პროფსაბჭოში

21 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. შელეპინმა მიიღო ჩილეს მშრომელთა ერთიანი პროფკავშირის თავმჯდომარე ლ. ფიგეროა, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით.

საუბრის დროს, რომელმაც მეგობრულ გითარებაში ჩაიარა, განიხილეს სამხედრო-ფაშისტური ხუნტის წინააღმდეგ ჩილელ მშრომელთა და დემოკრატთა ბრძოლასთან სოლიდარობის მოძრაობის, აგრეთვე ორი ორგანიზაციის შემდგომი თანამშრომლობის საკითხები. (საკდესი).

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდის დოკუმენტები

კოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ მომზადებული კრებული „რუსეთის პირველი რევოლუცია და მისი ისტორიული მნიშვნელობა".

წიგნი შეიცავს დოკუმენტებსა და მასალებს რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის შესახებ.

წიგნი გათვალისწინებულია პარტიული აქტივისათვის, პროპაგანდისტებისათვის, მეცნიერი მუშაკებისათვის, მასწავლებლებისათვის. (საკდესი).

1975 წლის 23 იანვარს, დღის 3 საათზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილება ინსტიტუტის საქტო დარბაზში აწყობენ სამეცნიერო სესიას თემაზე:

„შესრულების კონტროლისა და შემოწმების ლენინური პრინციპები".

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XI/ და XV პლენუმების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

● რუსთაველმა მეტალურგებმა წარმატებით დაიწყეს ახალი წელი ● მარტო № 1 ღუმელმა პირველ დეკადაში გეგმის ზევით 1.500 ტონა ფოლადი გამოადნო ● ერთი პროცენტით შრომის ნაყოფიერების გაზრდით მეტალურგები 1.714.770 მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ ● ნადნობი — ერთი საათითა და 25 წუთით ადრე ● თვითღირებულების შემცირებით — 3.600.000 მანეთი ეკონომია ● 160 ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება ● ახალი გადიდებული ვალდებულებანი, შემხვედრი გეგმები.

ეხოლოდ ჩქარწნული

მარტენის საამქროს პირველი ღუმელი, მისი მოსახურე კოლექტივები მართლაც რომ ამართლებენ თავიანთ სახელობითს ნომერს. შარანდელი და იანვრის პირველი ნახევრის შედეგები რომ შეაჯამეს, მეტალურგიული ქარხნის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებულად აღნიშნეს ღუმელის ოთხივე ბრიგადის კარგი, შემართებული შრომა. ამ ბრიგადებს კი თაკვალცობენ საყოველთაოდ ცნობილი მეფოლადეები გრ. ბერეკაშვილი, ზ. ყაველაშვილი, მ. ივანიშვილი და ჟ. კუსალიანელი.

მაინც რა მაჩვენებლებით დაიწყეს ხუთწლედის დამამთავრებელი წელი ფოლადის დნობის ოსტატებმა? 1.500 ტონა ნაჭარბი ფოლადი პირველ დეკადაში! — აი მათი პატაკი.

ქარხნის პარტიულ კომიტეტში სხვა მოწინავეებიც დაასახელეს: კოს-ქიმიურ საამქროში ა. რევიანი № 1 ბრიგადას უსახელებია თავი, № 7 მარტენის ღუმელზე — ი. გურგენიძეს, ბ. ჩეშოს, ე. სარჭისოვს და ნ. კლენცს.

ქარხნის მთელი კოლექტივის ნაყოფიერ შრომაზე მეუთითებს ის ფაქტი, რომ წინათ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჩამორჩენის შემდეგ უკვე შესამე თვეა მეტალურგები ჩადგნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა რიგებში. სოლო წელს, იანვრის პირველ ნახევრში მან შესძლო გეგმის გადამეტებით გამოშვებაც ასობით ტონა კოქსი, თუხი, ფოლადი, ბზა ნაგლინი, მილები.

...რიგოლ ბერეკაშვილმა კიდევ ერთხელ შეამოწმა ღუმელში ფოლადის ხარვის მიმდინარეობა და ლაბორატორიიდანაც დადებითი დასკვნა რომ მიიღო, განკარგულება გასცა გაეხსნათ ღუმელის კარი. მერე საათს დახედა, ბრიგადის ნადნობი ახლაც ჩქარსწნული იყო, ერთი საათითა და 25 წუთით ნაკლები დრო მოანდომეს დნობის პროცესი.

— სხვანაირად ვერ შევასრულებთ ამოცანებს, — რამლებიც დასახულია სეკრეტარიატის კომიტეტის მიმართვაში, — გვეუბნება ბრიგადირი გრიგოლ ბერეკაშვილი. — პარტია გვავალებს ბამოშუშავთ მეტი, უმეობისა ხარისხის პროდუქცია ნაძლები დანახარჯებით. როგორ მიმართვას ვეკონობოდი, — განაგრძობს იგი — დამაინტერესა ერთმა ციფრმა: მიმართვაში აღნიშნულია, რომ შრომის ნაყოფიერების მხოლოდ ერთი პროცენტით შემცირება საშუალებას მოგვცემს საბრუნველო პროდუქციის გამოშვება გაკადიდით ოელიწადი თითქმის 5 მილიარდი მანეთით... დაინტერესდი რა შედეგი მოპყვება ეს ჩვენს საწარმოში და გამოიკვლა, რომ შარშან ერთი პროცენტით შრომის ნაყოფიერების ზრდას მოუცია 1.714.770 მანეთი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეკონომიკურ 5,4 პროცენტით გეკავს გადიდებული შრომის ნაყოფიერება, გამოდის, რომ ეკონომიურმა ეფექტმა 8.746.125 მანეთს მიაღწია.

ბრძოლაგარეშეულია ისიც, რომ თვითეულ მუშაზე შრომის ნაყოფიერების გადიდებით გამოშვებულია 843 მანეთით მეტი პროდუქცია. ამ საკითხთან დაკავშირებით ქარხნის დირექტორმა ო. სულაძემ თქვა, რომ საწარმოში ამ უკანასკნელ ორ წელწადში შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად გაუჯობესდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მაჩვენებელიც, შარშან, მაგალითად, 2,14 კაპიკით შეამცირეს ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციის დანახარჯები და მიიღეს 3.600.000 მანეთი მოგონია. ასეთი მონაცემები მეტალურგებს საშუალებას აძლევს მოამავალ წელს უარი თქვან საეელშეწყობო დოტაციაზე და გახდეს სრულიად რენტაბელური.

მეტალურგთა კოლექტივის დაჯანაურებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ ღონისძიებებმა, რაც ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა ქარხნის მუშაობის არსებითად გაუჯობესებისათვის. ჯერ ერთი, მშობლიურ საწარმოს დაუბრუნდა ასობით მუშა; მეორე, თუ 1973 წელს ქარხანაში 1.443 გაძღელი იყო, შარშან ეს ციფრი მინიმუმამდე შემცირდა. წელს იანვრის 10 დღემი საუშაოდ მიიღეს 80 მუშა, ქარხნიდან კი წავიდა (ისიც საპატიო მიზეზით) მხოლოდ 13 კაცი.

რაკი სიტყვა შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ამის შედეგად გამოწვეულ ეკონომიურ ეფექტზე ჩამოვარდა, ჩვენ ვთხოვეთ ქარხნის ხელმძღვანელებს მოეთხოროთ იმ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებზე, რომელთა გატარებით იქნა მიღებული სასურველი შედეგი:

მ. ანთელიძე — (ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე): შარშან საწარმოში კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გასაძლიერებლად განვახორციელეთ 160-ზე მეტი ტექნიკური ღონისძიება, რამაც ნელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას. ერთერთ ასეთ ღონისძიებად მოგვაჩნია ცალკეული ფუძანარნის აგლომერაციის შეცხობის ტექნოლოგიის დანერგვა. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა აგლომერატის ხარისხი და ბრძმედის საამქროს სხვა ტექნიკურ ეკონომიური მაჩვენებლები, მიღებულმა ეფექტმა 202,2 ათას მანეთს მიაღწია.

ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში დაამუშავეს, ხოლო შემდეგ ბრძმედის საამქროს კოლექტივთან ერთად დანერგეს ეგრეთწოდებული „ბინა-ბინა“ ტიპის ბრძმედის ბუნების ტემპერატურულ ფაზებად დაყოფა. სხვანაირად არც შეიძლება. შრომის ნაყოფიერების ზრდა და ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის გამოშვება. წარმოუდგენელია, თუ არ დაწესდა ტექნიკური პროგრესი.

რა ძირითად ღონისძიებებს ვითვალისწინებთ? პირველ რიგში, ეს ეხება საოფსი № 1 ღუმელის ნაყოფიერად ავტომატური დისტანციური მართვის დანერგვა. საველმარეცი საამქროში გამოწვეს ახალი ღუმელის აშენება, ჩამომსხმელ მანქანაზე მეფოდის რეკონსტრუქცია, ფოლადის უნაფენად ჩამოსხმის დანადგარზე ნამზადის საწყობის გაფართოება, საურნალო განყოფილების რეკონსტრუქცია, ეკონომიკამდე ჯართის დამზადების უბნის ორგანიზაცია, საგლინავ საამქროში ბირის მიმწოდებელი ვენტილატორების შეცვლა. რეფორმირების საბჭოთა კავშირის გმირები ნაკარგების მნიშვნელოვანი შემცირება...

ქართველი მეტალურგები, მუდამ არიან სიახლის თაოსნები. როგორც საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. ბაბურაძემ აღნიშნა, ჯერ კიდევ შარშან მეფოლადეებმა ორგანიზებულად მოაწყვეს 25-ე მილიონი ტონა ფოლადის გამოდნობაში მონაწილეობის მიხაღებად გაღლილი სოციალისტური შეჯიბრება. ეს ბიდნიერება წარადგა ხდა მეფოლე ღუმელის მეფოლადეებს მ. სპანდერაშვილს, ი. ხარანაულს, უ. ჩუბინიძეს და ი. ნადირაშვილს.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. სპანდერაშვილმა წამოიწყო ინიციატივა რემონტიდან რემონტამდე ღუმელის მუდრადობის ანგარიშგებების შესახებ, ამ დეფიციტი გაანალებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველა მეფოლადე ჩაება. შედეგმა მოლოდინს გადაკარბა, თუ ადრე რემონტების შორის ეუძალებენ 285 დნობას ახორციელებდნენ, ახლა ეს ციფრი 350-მდე აკიდა.

ამ დღეებში საწარმოში საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ინიციატივას „100 დამპალ ლეონი დღე“! ამ ლოზუნგით მეტალურგები დადგნენ ფაშისტურ ბერლინაზე გამარჯვებისადმი მიძღვნილ შრომითს ვაჭეტზე. თავის მხრივ საინტერესო თაოსნობა წამოიწყეს საწარმოს კომკავშარლებმაც. მათ მოსკოველ თანამოსაქმეთა მაგალითზე თავიანთ ბრიგადებში ჩარიცხეს ხანგრძლივ ავადმყოფობაში მყოფ ვეტერანებს. ეს ადამიანები ამ ბრიგადებში ეხმარებიან ჯანმრთელობაშ მოკლებულ ამხანაგებს, ეზიარებიან ბრიგადის ბედნიერ ცხოვრებას

მსოფლიო დღის

მტკიცე მშვიდობისათვის

მუშაობა განაახლა სრულიად ევროპის თათბირმა

ჟენევა, 21 იანვარი. (საკლესი). ხანმოკლე შესვენების შემდეგ აქ მუშაობა განაახლა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მეორე ეტაპმა. ამ თათბირს ხელეხება უკავშირებენ ჩვენს უძველეს კონტინენტზე მყარი მშვიდობის უზრუნველყოფის იმედს.

ფორუმი, რომელზეც წარმოდგენილია ევროპის სახელმწიფოები, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა, არსებობად უნიკალური მოვლენაა საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში. მისი მოწვევა შესაძლებელი გახდა მსოფლიოში მომხდარი სერიოზული ცვლილებების, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შედეგად. საზოგადოებრობას ახსოვს, რომ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის ინიციატივა ეკუთვნის საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს.

სრულიად ევროპის თათბირის ამოცანაა, ხაზი გაუსვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. — განმტკიცოს კონტინენტზე პოლიტიკური დაძაბულობის შენელების ტენდენციები და შესაძლებლობანი, რომლებსაც ეკავ სახავს, მტკიცე საფუძვლები შეიქმნას ევროპის სახელმწიფოთა ხანგრძლივ თანამშრომლობას მშვიდობის პოლიტიკის დარგში, ეკონომიკა, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადასაწყვეტად თათბირზე შესრულდა დიდი მოცულობის სამუშაო. ყოველმხრივ განხილულია ღღის წესრიგის თვითეული პუნქტის ყველა ან თითქმის ყველას ასპექტი.

როგორც ცნობილია, თათბირის მეორე ეტაპზე უკვე მიღწეულია შეთანხმება თართო წრის პრობლემებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის. თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მრავალმხრივი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებისათვის.

გაწეულია დიდი მუშაობა ძირითადი პოლიტიკური დოკუმენტის შესათანხმებლად, რომელიც ადგენს ამ პრინციპებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ ევროპის სახელმწიფოებმა, აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ თავიანთ ურთიერთობაში.

ახლა თათბირზე საბოლოოდ ამუშავებენ დარჩენილ შესათანხმებელ საკითხებს.

ჟენევაში 35 დელეგაციის მოლაპარაკება განახლდა საქმით ვითარებაში და მონაწილეთა უმრავლესობა ესწრაფვის სრულიად ევროპის თათბირის წარმატებით და რაც შეიძლება მალე დამთავრებას.

ჯ. ვალდჰაიმის მოხსენება

ნიუ-იორკი, 22 იანვარი. (საკლესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა უშიშროების საბჭოს წარუდგინა მორიგი მოხსენება ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციათა შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო შეიარაღებული ძალები კვლავ ეფექტიანად ასრულებენ დაკისრებულ ამოცანებს ეგვიპტისა და ისრაელის ჯარების დაშორიშორების ზონაში და ყოველ კვირაში უწევენ ინსპექციას შეზღუდული შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების რაიონებს.

სირია-ისრაელის სექტორში ჯარების დაშორიშორების სამგვარეულო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ საკონტროლო-სამეთვალყურეო პუნქტების და მობილური პატრულირების საშუალებით. შეზღუდული შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების რაიონებს ისინი ყოველ ორ კვირაში ეწევენ ინსპექციას.

პრეზიდენტ ჯ. ფორდის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 22 იანვარი. (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ, მისი აზრით, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში დაძაბულობის შენელების პოლიტიკა კვლავაც გაფართოვდება და გაკრმავდება. „მიმაჩნია, რომ ეს შეეხებიმება ჩვენს ინტერესებსა და ხალხთა კავშირის ინტერესებს", — თქვა მან.

შეეხო რა სსრ კავშირის უარს ქალაქ შეიყვანოს საბჭოთა კავშირი-ამერიკის 1972 წლის საფარო შეთანხმება უკრძალის შესახებ კონგრესის ორივ პალატას მიერ შეტანილი მთელი რიგი დისკრიმინაციული შესწორებების გამო, პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გაუაგრძობს თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაფართოებაში. ვიმედოვნებ, რომ კონგრესთან ერთად შეეძლებთ აღმოვფხვრათ ყოველგვარი პრობლემა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საბჭოთა კავშირს ასეთი ნაბიჯის გადადგმის სურვილს აღუძრავდა".

ჯ. ფორდმა დაგმო კონგრესის ზოგიერთი წევრის ცდები შეზღუდონ პრეზიდენტის უფლებამოსილება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. მან ხაზი გაუსვა, რომ ვაჭრობის შესახებ კანონში კონგრესის მიერ შეტანილი სსრ კავშირის მიმართ დისკრიმინაციული შესწორებანი, აგრეთვე საბჭოთა კავშირისათვის საექსპორტო-საიმპორტო ბანკის კრედიტების ოდენობის შეზღუდვა „ხელს ავუს პრეზიდენტის შესაძლებლობებს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში".

უპასუხეს რა კითხვაზე, თუ რა მდგომარეობაა ახლო აღმოსავლეთში, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ომის საფრთხე ამ რაიონში „ფრაზად სერიოზულია". ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, თქვა ჯ. ფორდმა, ამერიკის შეერთებული შტატები აფართოებს დიპლომატიურ ღონისძიებებს.

ამავე დროს პრეზიდენტმა დაიცვა ახლო აღმოსავლეთისათვის, უწინარეს ყოვლისა ისრაელისათვის ამერიკული შეიარაღების მიწოდების გადიდების პოლიტიკა, და ეს ამით გაამართლა, რომ „საფრთხე მთელ რიგ ქვეყნებში საშინაო უშიშროების, აგრეთვე საერთაშორისო საფინანსო სისტემაში თავისი ეროვნული ვალუტის პრივილეგიური მდგომარეობით, უსვამ ყველებდა დოლარებს თავისი სამხედრო ავანტურების დასაფინანსებლად, ხოლო ამერიკის მონოპოლიები — სხვა ქვეყნებში საწარმოთა შესაძენად, საქონლისა და მომსახურების ასანაღაურებლად.

ამის შედეგად 70-იანი წლების დამდეგს საზღვარგარეთ იმდენი დოლარი დაგროვდა, რომ მათ ვერ დაფარავდა ამერიკის ოქროს მარაგი. სწრაფად მეირდებდა ნდობა ოქროს დოლარისადმი, რომელიც ადარ იყო უზრუნველყოფილი, ამავე დროს სწრაფად ძვირდებოდა ოქრო, რომელიც იყიდებოდა საგალუტო ბირჟებზე. შეიქმნა ოქროს ორი ფასი: ოფიციალურ ფასს იყენებდნენ ოქროს სახელმწიფოთაშორის ოპერაციებში, ხოლო საბაზრო ფასს— კერძო პირების, კომპანიების, ფირმების, კომერციული ბანკების მიერ საგალუტო ბირჟებზე ოქროს ყიდვა-გაყიდვის დროს. არ უშველა ამერიკული ვალუტის ორმა დევალვაციამაც, რომელთა შედეგად უნდა ოქროს ოფიციალური ფასი 35 დოლარიდან 42,2 დოლარამდე გაიზარდა. ოქროს ოფიციალურ და საბაზრო ფასებს შორის განსხვავება სწრაფად იზრდებოდა.

ამის შედეგად არც ერთ ქვეყანას არ სურდა ძვირფასი ლითონისთვის გაესწორებინა ანგარიში სხვა ქვეყნებთან, ამასთან პირველმა ეს გააკეთა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც უარი თქვა 1971 წელს ოქროთი დაფარა თავისი საერთაშორისო ფინანსური ვალდებულებანი.

განუწყვეტელმა „ოქროს ციებ-ცხელებამ", დასავლეთის ყველა ვალუტის კურსების მერყეობამ საერთაშორისო საგალუტო ფონდის საფინანსო სისტემაში შექმნეს ქაოსი, რომელიც ანაგვა თავის დაწყვეის საშუალებად ვაშინგტონმა მიიჩნია ის, რომ „განედევნა ოქრო ანგარიშსწორებათა საერთაშორისო სისტემიდან". პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ოქრო ადარ უნდა იყოს საერთაშორისო საგალუტო ფონდის მონაწილე სახელმწიფოთა შორის ანგარიშსწორების მონეტური (ფულადი) საშუალება, და მაშასადამე, მისი ოფიციალური ფასი — ოქროს ფასი — ადარ მოახდენს ვალუტების გაცვლის კურსების თანაფარდობაზე. ესწრაფვიან რა წამართვას ოქროს მისი მონეტური ფუნქციები, ვაშინგტონს ამედი აქვს, რომ ამრიგად განამტკიცებს ოქროს პოზიციებს მსოფლიო ბაზარზე, დამოუკიდებელს გახდის მას ოქროსაგან, შემდეგ კი მის საფუძველზე შექმნას კაპიტალისტური სამყაროს ახალ საგალუტო სისტემას.

ოქროსათვის მსოფლიო ვალუტის როლის წართმევა ვაშინგტონისათვის მით უფრო საჭიროა, რომ, აგრძელვის მიუხედავად, ბევრი ამერიკელი კაპიტალისტი ოქროს ყიდულობდა დასავლეთ ევროპაში, სადაც იგი შეუზღუდავად იყიდებოდა.

ამან გამოწვინა ამერიკის შეერთებული შტატებიდან საგალუტო სახსრების უკუდენა, ზრდიდა საგადახდელო ბალანსის ისედაც დიდ დეფიციტს. ამიტომ ამერიკის შვერიცარიელ ბანკირებს, ოქროს ბაზარზე ფასების ოქროს ბაზარზე ფასებს, ოქროს ბაზარზე ფასებს, ოქროს ბაზარზე ფასებს,

იენელ გერმანისტებთან

ახლახან ქ. იენიდან (გდრ) სამეცნიერო მივლინებიდან დაბრუნდნენ პროფესორი ნოდარ ჯაჯაბაძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ ყარალაშვილი. ქართველი მეცნიერები იენელ გერმანისტებთან ერთად გამოსაცემად ამზადებენ ერთობლივ წიგნს — „XX საუკუნის მსოფლიო რომანის ისტორია და თეორია“, რომელიც ეძღვნება თომას მანის დაბადების მე-100 წლისთავს. ისინი მონაწილეობდნენ წარმოდგენილი ნაშრომების განხილვა-რეცენზირებაში.

ნაყოფიერი თანამშრომლობისა და თათბირის ეფექტური შედეგებისათვის იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა ლ. ელმმა ქართველი გერმანისტების მუშაობას კარგი შეფასება მისცა და მათ გადასცა იენის უნივერსიტეტის გოეთის მედლები.

წლეულს მაისის ბოლოს ქ. ვაიმარში გაიმართება თომას მანის დაბადების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი, რომლის თემაა „თომას მანის შემოქმედება და მისი ზემოქმედება ჩვენს ეპოქაში“. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მეცნიერები ნ. ჯაჯაბაძე, ო. ჯინორია და რ. ყარალაშვილი.

თომას მანის სახელთან დაკავშირებით საინტერესოა კიევში ასეთი საგულისხმო ფაქტი, მწერლის ქმრისგმ, 92 წლის კატია მანმა, თომას მანის შემოქმედების ჩინებულ მცოდნეს პროფესორ ნ. ჯაჯაბაძეს პატივისცემის ნიშნად შვიცარიიდან გამოუგზავნა თავისი წიგნი „ჩემი დაუწერელი მემუარები“. წარწერით: „ეუძღვნი ნოდარ ჯაჯაბაძეს საუკეთესო სურვილებით. კილბერგი, 1974 წლის დეკემბერი. კატია მანი“.

ქიმიკოსის ღვაწლი

პ. გოგორიშვილის დაბადების 75-ე წლისთავის გამო

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექსაერთთა ქიმიის ლაბორატორიის გამგეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ პლატონ ვლადიმერის-ძე გოგორიშვილს დაბადების 75 წელი შეუსრულდა. მისი სახით ჩვენს რესპუბლიკას აყავს არაორგანული ქიმიის თვალსაჩინო სპეციალისტი, წკვლევარი და პედაგოგი.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს პ. გოგორიშვილის მიერ შესრულებულ სამუშაოებს, რომლებიც ეხება ზეკონდენსაციების მიღების ახალ მეთოდს და ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ზეკანგების წარმოქმნის საკითხების გადაწყვეტას, აგრეთვე თალიუმის მარილების მიღების ახალი მეთოდების დამუშავებას.

პ. გოგორიშვილმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სისტემატურ კვლევებს კოორდინაციულ ნაერთთა ქიმიაში. მისი ხელმძღვანელობით გამომუშავებული მეთოდებით სინთეზირებულია გარდამავალ ლითონთა უამრავი კოორდინაციული ნაერთი, ხოლო მათი შესწავლის საფუძველზე დადგენილი კანონზომიერებები კოორდინაციულ ნაერთთა ქიმიის ოქრის ფონდში შევიდა. კერძოდ, გამოვლინებულია და მეცნიერულად დასაბუთებულია ჰიდროსინორგანული და სულფანილამიდური ლიგანდების ტაუტომერული გარდაქმნა კომპლექსწარმოქმნის პროცესში და ლითონთა კომპლექსების სახით იდენტიფიცირებულია ტაუტომერული ფორმები. ეს კი ნინასწარგამოხნული თვისებების კოორდინაციულ ნაერთთა სინთეზის გზების დასახვის საშუალებას იძლევა და აფართოებს მათი პრაქტიკული გამოყენების გზების ძიებას.

აღსანიშნავია, რომ ორი ახალი კოორდინაციული ნაერთი, რომლებაც ბაიარა ექსპერიმენტალური გამოვლა, რეკომენდებულია კლინიკაში დასანერგავად, როგორც ეფექტური, კანქვეშ შესაყვანი ანტიანემიური პრეპარატი.

კოორდინაციული ქიმიის მიმართულებით მის მიერ წარმოებულ სამუშაოთა შედეგები, რომელიც წარდგენილი იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენაზე სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „ქიმია — 1973 წ.“ — ნაზით, აღინიშნა საპატიო დიპლომით, ვერცხლის მედლით და ფულადი პრემიით.

ფასდაუდებელია პ. გოგორიშვილის დამსახურება საქართველოს ნედლეულის რესურსების შესწავლის, მათში ფერადი ლითონების, გაბნეული ელემენტების გამოვლინების და ამ უკანასკნელთა ამოღების ახალი მეთოდების დამუშავების საქმეში.

პ. გოგორიშვილის ხელმძღვანელობით პირველად მოეწყო საქართველოს ნავთობის საბადოების ბურღვის წყლების ქიმიური შედგენილობის სისტემატური შესწავლა; ახლებურად იქნა წარმოდგენილი აღნიშნული წყლების გენეზისი და კლასიფიკაცია, ხოლო მონოგრაფია „საქართველოს ნავთობის საბადოების ბურღვის წყლები“ სამაგიდო წიგნია საქართველოს ახალი ნავთობის საბადოების ძიების მუშაკებისათვის.

ამ წყლებში აღმოჩენილია იოდისა და ბრომის შემცველობა სამრეწველო მნიშვნელობის რაოდენობით. ამის საფუძველზე გამომუშავებულია ფრიად ორიგინალური, მარტივი და ეკონომიურად ეფექტიური ორი მეთოდი. ერთ-ერთი ამ მეთოდთაგანი — საქართველოს ნავთობის საბადოების ბურღვის წყლებიდან იოდის ამოწბობის იოდატური მეთოდი წარმატებით დაინერგა საბჭოთა კავშირის იოდ-ბრომის ქარხნებში 1952 წლიდან.

პ. გოგორიშვილი თანაავტორია დარიშხანის ჰელმინტოციდური პრეპარატის ვარგისიანობის შემოწმების ქიმიური მეთოდისა, რომელიც წარმატებით დაინერგა წარმოებაში, და, რომელმაც სრულიად შეცვალა მანამდე გამოყენებული შემოწმების ძვირადღირებული ბიოლოგიური მეთოდი.

პ. გოგორიშვილი ერთ-ერთი ინიციატორი და აგტორია საქართველოში მადნეულის პოლიმეტალური მადნების ბაზაზე ფერადი ლითონების ამოღების ახალი ავტოკლავური მეთოდისა. ეს მეთოდი, ინსტიტუტ „გიპრონიკელთან“ თანამშრომლობის საფუძველზე, დიდისანია გასცილდა ლაბორატორიის საზღვრებს, შემოწმდა ნახევრადაქარხნო დანადგარზე, რომელიც აგებულია მადნეულში და თავისი ეკონომიური უპირატესობით საქართველოში ფერადი მეტალურგიის განვითარების საფუძველია. ეს სამუშაო აისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში 1975-1980 წლების საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივი გეგმის შესახებ.

სამეცნიერო მუშაობის პარალელურად პ. გოგორიშვილი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას — იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, წლების განმავლობაში განაგებდა ზოგადი ქიმიის კათედრას თბილისის სტომატოლოგიურ ინსტიტუტში.

პ. გოგორიშვილი დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომლთა სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებას, ეხერგი ასეთი ხელმძღვანელობს ასპირანტებს და უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ათობით საკანდიდატო დისერტაცია.

პ. გოგორიშვილი მონაწილე იყო მრავალი საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური კონგრესების, კონფერენციების, სიმპოზიუმის და თათბირების მუშაობისა, სადაც ის კვალიფიციურ მოხსენებებს კითხულობდა. მისი სამეცნიერო შრომები და საავტორო მოწმობები ძვირფასი წვლილია ქიმიური მეცნიერების და ქიმიის მრეწველობის განვითარებაში.

პ. გოგორიშვილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრია 1941 წლიდან. ის ყოველთვის ცხოვრობდა და ცხოვრობს ჩვენი ქვეყნის, მშობლიური ინსტიტუტის სისხლსავსე ცხოვრებით, აქტიურად მონაწილეობს პარტიულ და პროფკავშირულ საქმიანობაში, მრავალ საზოგადოებაში, ხარისხიანს მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოებში.

პ. გოგორიშვილმა თავისი ცოდნითა და მდიდარი სამეცნიერო მოღვაწეობით, თავმდაბლობით, უანგარობით, ადამიანების მიმართ გულითადი დამოკიდებულებით მოიპოვა ქიმიკოსთა საზოგადოების და ინსტიტუტის მთელი კოლექტივის დიდი სიყვარული და პატივისცემა.

გ. ციციშვილი,
აკადემიკოსი;

მ. ყარყარაშვილი,
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი.

სურათების გალერეა ბორჯომში

ქურორტ ბორჯომის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა კულტურის სარაიონო სახლის საგამოფენო დარბაზში სურათების გალერეის გახსნა, რომელიც მოაწყეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, რესპუბლიკის მხატვართა კავშირმა. სურათების სახელმწიფო გალერეიამ და საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომმა. ამ მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით გალერეის დარბაზში შეიკრიბნენ ბორჯომის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მხატვრები, თბილისელი სტუმრები, კულტურის მოღვაწენი, სახვითი ხელოვნების მოყვარულნი.

გალერეის დარბაზებში გამოფენილია ქართული სახვითი ხელოვნების გამოჩენილი ოსტატების ფერწერული, გრაფიკული ნამუშევრები, ქანდაკების, კერამიკის, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები. ექსპოზიციაშია 100-ზე მეტი ნამუშევარი.

დამთვალიერებლები გაეცნენ ლ. გუდიაშვილის, უ. ჯაფარიძის, ე. ახვლედიანი, ქ. მაღალაშვილის, ხ. ნიკარაძის, ე. მეძმარიაშვილის, თ. მირზაშვილის და სხვა მხატვართა ფერწერულ ტილოებს.

გრაფიკიდან ყურადღებას იქცევს დ. ნოდიას, ვ. ლოლუას, დ. ერისთავის ნამუშევრები, ქანდაკებიდან გამოფენაზე წარმოდგენილია ნ. კანდელაკის, ე. ამამუკელის, ფ. ღვინიაშვილის, თ. ჭყონიას პორტრეტული ნამუშევრები, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია ქ. ფორჩხიძის, თ. გობეჯიშვილის კერამიკული ბურჯელი, რ. წერეთლის ხის ნაკეთობა, ხ. მთვარაიშვილის ქართული ხალიჩები.

ბორჯომის სურათების გალერეაში პერიოდულად მოხდება ექსპონატების შეცვლა, ამავე დროს გალერეის დარბაზში ჩვენს ქართველ მხატვრებს საშუალება მიეცემათ გამოფინონ თავიანთი ახალი ნაშუშევრები, რომლებსაც გაეცნობიან ბორჯომის რაიონის მკვიდრნი, ისე კურორტზე ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ხელოვნების მოყვარულნი.

ლ. მარსაგიშვილი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — ლ. გუდიაშვილი — „მშრომელი დედის სიხარული“; ქვემოთ (მარცხნიდან) — ბორჯომის სურათების გალერეის ერთ-ერთ დარბაზში; ე. ახვლედიანი — „ქართული კერამიკა“.

ბ. პიპპაძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

კრეტენდენტთა ფინალური მატჩი

კვლავ ყაიმი

მეორე პარტიაში ალექსანდრიამ მეტოქეს საინტერესო სიურპრიზი მოუმზადა. ცნობილია, რომ შავებით ლევიტინა, თუ კი მასთან თამაშს მეფის პაიკით იწყებენ, თითქმის ყოველთვის ალიოხინის დაცვას ირჩევს და ეი ახლა თვით ალექსანდრიამ გამოიყენა მეტოქის საყვარელი დებიუტი, აიძულა იგი ებრძოლა საკუთარი იარაღის წინააღმდეგ. ეს კი ჭადრაკში ყოველთვის უსიამოვნო რამ გახლავთ.

ქართველი მოჭადრაკისა და მისი მწვრთნელის მოლოდინი სავსებით გამართლდა. ლევიტინა აშკარად უხერხულად გრძნობდა თავს, ამასობაში შავებმა მოხერხებულად განაკაგეს ძალები და მოემზადნენ მძაფრი ბრძოლისათვის. ლევიტინამ ჭამოიწყო პაიკებით შეტევა ლაზარის ფრთაზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, მხოლოდ შავებისათვის აღმოჩნდა ხელსაყრელი. ალექსანდრია გარკვეულ მომენტამდე ჩინებულად მოქმედებდა, დაუსტა თეთრების მეფის საფარი, ეტლებით დაიეფლა კიდური ბაზის ლაზარის ფრთაზე. ერთი სიტყვით, ნანას უპირატესობა აშკარა იყო, ლევიტინას თითქოს ვერაფერი იხსნიდა, მაგრამ ამ მომენტში თბილისელი ცატნტრში მოხვდა და ზუსტად არ ითამაშა. 36-ე სვლაზე ლევიტინამ, რომელიც ტაქტიკური ბრძოლის ჩინებული ოსტატია, შესწირა ფიგურა ორ პაიკში. ბრძოლა უკიდურესად გამწვავდა! — ალექსანდრიას უხდებოდა მუქარის ნოგერიება, ბოლოს მდგომარეობა გამარტივდა, გაიცვალა ლაზიერები და თამაში გადავიდა ოთხი ეტლის ენდშპილში ლევიტინასათვის ზედმეტი პაიკით, მაგრამ მისი ოთხივე პაიკი სუსტია, რაც სრულიად ათანაბრებს მეტოქეთა შესაძლებლობებს. ყველა მიმმხილველის აზრით, ეს პარტია ყაიმით უნდა დასრულდეს.

მატჩის მეორე პარტია
ლევიტინა — ალექსანდრია

ალიოხინის დაცვა

1. e4 ∂f6 2. e5 ∂d5 3. d4 d6 4. ∂f3 ⅆg4 5. ⅆe2 e6 6. 0-0 ⅆe7 7. h3 ⅆh5 8. c4 ∂b6 9. ∂c3 0-0 10. ed cd 11. ⅆe3 d5 12. c5 ⅆ:f3 13. ⅆ:f3 ∂c4 14. ⅆf4 ⅆc6 15. b3 ∂a5 16. ⅆc1 ⅆf6 17. ∂e2 ⅆd7 18. a3 ⅆfd8 19. ⅆg4 g6 20. b4 ∂c4 21. b5 ∂e7 22. a4 h5 23. ⅆf3 a6 24. ⅆb3 ab 25. ab ∂f5 26. ⅆfd1 ⅆa5 27. b6 ∂h4 28. ⅆc7 ⅆa3 29. ⅆb4 ∂:f3+ 30. ⅆ:f3 ⅆda8 31. ⅆe3 ⅆg5 32. f4 ⅆd8 33. ⅆb5 ⅆe7 34. c6 ⅆ:c7 35. cb ⅆb3 36. ∂:d5 ed 37. bc ⅆ:c7 38. ⅆ:d5 ⅆa4 39. ⅆb5 ⅆa5 40. ⅆ:c4 ⅆ:b5 41. ⅆ:c7 ⅆ:b7.

ამ პოზიციაში ლევიტინამ ჩაწერა 42-ე სვლა.

შეხვედრის განახლებისას ლევიტინამ გაცვალა ეტლი. მაგრამ არც წარმოქმნილ დაბოლოებაში აღმოჩნდა მისი მცირე ძალერიალური უპირატესობა მოგებისათვის საკმარისი. ალექსანდრია ზუსტად იცავდა თავს და 62-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ.

ანგარიში გახდა 1:1.

დღეს, მორიგ მესამე პარტიაში თეთრებით თამაშობს ალექსანდრია.

გ. გამრეკელი.

სპორტული ამბები

ჩრდგბერთი. უმაკაოში (პუერტორიკო) გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ალექსანდრე მეტრეველი. ქართველმა ოსტატმა ფორმატებით განვლო წინასწარი შესვლერება, მაგრამ მეოთხედფინალში დამარცხდა ავსტრალიელ როდ ლეივერთან — 4:6, 6:7.

ფეხბურთი. თბილისში დაიწყო ოთხი გუნდის — ლენინგრადის „ბალტიკის“, მინსკის „ბურევესტნიკის“, ალეთეი ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივების „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ტურნირი. შეჯიბრება ორ წრად ეწყობა. უკვე გაიმართა პირველი შეხვედრები: ლენინგრადელებმა ანგარიშით 6:2 მოუგეს მინსკელებს, ხოლო თბილისის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 6:6.

თბილისბურები. ბაკურიანში დაიწყო თბილისის სპორტაჟიადის პროგრამაში შეშავალი შეჯიბრება. პირველ დღეს გაიმართა რბოლები: ქალთა ბორის ხუთკილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარბინა სპორტკლუბ „ისანის“ წარმომადგენელმა ნელი რატანამ, მაკეში კი 10 კილომეტრზე თავი ისახელა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ოთარ დაყარაშვილმა.

ფეხბურთი. 26 იანვარს მოსკოვში ლუჟნიკის სპორტის სასახლეში დაიწყება საერთაშორისო შეჯიბრება მინი-ფეხბურთში ბაზეთ „ნედელიას“ გარდამავალ პრიზზე. ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის გუნდები „სპარტაკი“, „ტორპედო“, „ლოკომოტივი“ (პირველი ჯგუფი), აგრეთვე „დინამო“, „ცსკა“ და „სოფიის ნაკრები (მეორე ჯგუფი).

ფიგურული სრიალი. დღეს საბჭოთა კავშირის ნაკრების 16 უძლიერესი ოსტატი მიეგზავნება კოპენჰაგენში, სადაც 28 იანვარს დაიწყება ევროპის ჩემპიონატი. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში არიან: წყვილები ი. როდნინა და ა. ზაიცევი, ნ. გორშკოვა და ე. შეგალოვსკი, მ. ლეონიდოვი და ვ. ბოგოლიუბოვი, ერთეულები ლ. ბაკონინა, ი. ოვჩინნიკოვი, ს. ვოლკოვი და ვ. კოვალიოვი, აგრეთვე ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი, ნ. ლინიჩუკი და მ. კარპენოსოვი, ი. მოისეევი და ა. მინენკოვი (სპორტული ცეკვები).

ჯრუჭულის ხეობაში

ბიათურა. (საკ. კორ.). მდინარე ჯრუჭულა ბიათურა-სარეჩის საზღვარზეა და მარჯვნიდან ერთვის ყვირილას. რამდენიმე წლის წინათ აქ მოვიდნენ ბიათურელი მშენებლები, მორტანეს მძლავრი, თანამედროვე ტექნიკა. ერთობ შეავიწროვეს მდინარის კალაპოტი და ფართო მშენებლობა გაჩაღეს. ბიათურმშენის სამმართველოს კოლექტივმა ჯრუჭულას ხეობაში ახლახან დაამთავრა პურკომბინატის, ხორცკომბინატის, სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კორპუსების, მარკანტრესტის ავტოსატრაქტორო სამქროს ნაგებობათა მშენებლობა.

სტენდი კომბინატში

ტყიბული. „ცილოცავთ დაბადების დღეს!“ — ნორნაირი „ყვავილებით მორთული, ასეთი წარწერიანი სტენდი მოაწყეს ამ დღეებში სტალინის სახელობის შახტის ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კომბინატში. თითქმის ყოველდღე სტენდზე აწერენ იმ მოწინავე მუშახტის სახელსა და გვარს, რომელიც წარმატებით ასრულებს „შავი ოქროს“ მონგრევის პირად ნორმას.

სტენდზე სულ პირველად გამოჩნდა ორი წარწერა — ყირონ რიკამაძე და გიგლა ცნობილაძე. ყირონი წმენდდა სანგრევის მუშაა. აგე შახტმა ამ თხუთმეტი წლის წინათ მოვდა და თავი გამოიჩინა, როგორც ნოვატორმა მეშახტემ. ამჟამად ყირონი მომავალი ხუთწლედის პირველი წლის იელისის ანგარიშში მუშაობს. გიგლა მებიგეა. კიდევ ერთი თვე, და უკვე ბიგების ჩადგმის 1976 წლის ნორმას შეასრულებს.

3. ციხკარიძე.

ახალ შენობაში

წყალტუბოს (ტყაჩირის) მებოსტნეობის საცდელი სადგურის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — სადგურის ყოფილი ადმინისტრაციული შენობა კაპიტალური შეკეთების შემდეგ დაეთმო სასოფლო ბიბლიოთეკასა და კლუბს. ამან უფრო ნაყოფიერი და შინაარსიანი გახადა მშრომელთა შორის კულტურულ-მასობრივი მუშაობა.

ნ. ჟორჟოლიანი.

ხარისხის ნიშნით

სულ რაღაც ორიოდე წლის ისტორია აქვს წყალტუბოს ადგილობრივი მოწველეობის კომბინატის ბოროლის ქარხანას. გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ზრუნვა თავიდანვე იქცა საწარმოს კოლექტივის მთავარ დევიზად.

ამ ღღეებში საწარმოში სასახარულო ცნობა მიიღეს: სახელმწიფო საატესტაციო კომისიამ ორი სახეობის სახილე ეაზეს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიაკუთვნა.

ლიტერატურული საღამოები

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). მოსწავლეებს ლიტერატურისადმი სიყვარულს უვითარებს პირველი საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის წრე. აქ სისტემატურად ეწყობა ლიტერატურული საღამოები, სადაც განიხილავენ გამორჩეული მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას, ეწყობა ლიტერატურული მონტაჟები. ექტორინები. მოსწავლეებმა შეადგინეს ალბომები, ა. პუშკინისა და ნ. ოსტროვსკისადმი მიძღვნილი ფურცლები.

გამოცა „ცოდნამ“

ავტორთა კოლექტივი — „ლექტორის ოსტატობის ზოგიერთი პრობლემის შესახებ“, რედაქტორი დოც. პ. ლუდუშაური, ტირაჟი 120.000.

კრებული ლენინის ორდენოსანი სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა“ გამგეობასთან არსებული ლექტორის ოსტატობის პრობლემების სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს მიერ ჩატარებული მეთოდისტ-ლექტორთა სემინარის მასალების საფუძველზეა შედგენილი, სემინარის თემა იყო — „სკკპ XXIV ყრილოს გადაწყვეტილებების პრაპაგანდის გამოცდილება, ლექტორის ოსტატობის მეთოდიკა და პრობლემები“.

ი. ჯანიავილი — „საზოგადოებრივი მეცხოველეობის წარმოების ეფექტიანობის ამაღლება საქართველოში“, რედაქტორი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ბურკაძე, ტირაჟი 28.000.



ა. კინწურაშვილი

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ წევრი 1941 წლიდან, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი აპაკი კონდრატეს-ძე კინწურაშვილი.

ა. კინწურაშვილი დაიბადა 1919 წელს ქ. ქუთაისში რკინიგზელის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა რკინიგზის ტრანსპორტის განყოფილებაში ტექნიკოსად. შემდეგ ამთავრებს პედაგოგიურ ინსტიტუტს და ინიშნება საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორად.

1945 წელს ა. კინწურაშვილი ამთავრებს საკ. კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლას. 1946 წელს მას ირჩევენ საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო 1948-1952 წლებში — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

1952-1955 წლებში ის მუშაობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჯერ სექტორის გამგედ, ხოლო შემდეგ პასუხისმგებელ ორგანიზატორად.

1955-1961 წლებში ა. კინწურაშვილი საქართველოს კომპარტიის გაგრის რაიკომის პირველი მდივანია. 1961 წელს მას ირჩევენ პარტიის წყალტუბოს რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1962-66 წლებში იგი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ-ეკონომიკურ ინსტიტუტში ასპირანტურაში სამუშაკების გადასამზადებელი მუდმივმოქმედი კურსების დარეგისტრირდა.

1966 წელს ა. კინწურაშვილი ინიშნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველად. 1972 წლიდან კი იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო ა. კინწურაშვილის მოღვაწეობა. პარტიულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად იგი აქტიურ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. 1965 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. არის ავტორი საინტერესო მეცნიერული შრომებისა.

პარტიისა და ხალხის წინაშე დამსახურებისათვის ა. კინწურაშვილს მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

უდროოდ წავიდა ჩვენგან საუკეთესო მოქალაქე და გულისხმიერი ადამიანი, თვალსაჩინო პარტიული მუშაკი, რომელსაც საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ მრავალი სასარგებლო საქმის გაკეთება შეეძლო.

აკაკი კონდრატეს-ძე კინწურაშვილს ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკავშირო; თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტები.

სხვა გაზეთებიდან

კოშკი გადარჩება?

როგორც ამერიკის ყოველკვირეული „ტაიმი“ იუწყება, ცნობილი პიზეს (იტალია) კოშკის დახრილობის შეჩერების სამუშაოებს შეუდგება ორი იაპონური ფირმა — „ნისან ფრიზ კომპანი“, და „კონოიკე კონსტრაკშნი“. მათი მეთოდია ითვალისწინებს, რომ ცემენტის ხსნარი და გრუნტის დამაკავშირებელი ქიმიკატები ჩასხან კოშკის საძირკველში. ვარაუდობენ, რომ ამ სამუშაოებს დახლოებით 5,5 მილიონი დოლარი დასჭირდება.

ფოტო „ტაიმიდან“

ცურვით ლა-მანშზე

ცამეტი წლის ეგვიპტელი გოგონა ამლა ჯხიბი ყიელზე ახალგაზრდაა მათ შორის, ვინც ლა-მანშის სრუტე ცურვით გადალახა. 21 მილი მან 12 საათსა და 30 წუთში დაფარა. ამით მან რეკორდი ჩამოართვა 14 წლის ლეონორა მოდელს, რომელმაც 1964 წელს ივიეი მანძილი 15 საათსა და 27 წუთში გაცურა.

(„სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“).

სხვა რა ბზაა...

იტალიის ქალაქ პალერმოს პოლიციის სამმართველო საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. წესრიგის დამცველთა ყოველდღიურ საზრუნავს შემეატა კიდევ ერთი — თვალყური ადევნონ იმ პირებს, რომლებიც არ იხდიან საკუთარ ავტომანქანებზე დაწესებულ გადასახადს. მოულოდნელად გამოირკვა, რომ თვითონ პოლიციის სამმართველოსაც კი ჰქონდა სპეციალური მანქანების გადასახადი შეტანილი. პოლიციის ვალი 6.500 დოლარს აღწევს. პოლიციის სამმართველოს იძულებულია ამოამაღ ორკერტი მეტი გადასახადი შეიტანოს სახელმწიფო ხაზინაში... („ტრუდი“).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უნივერსიტეტის პრორექტორი, დოცენტი

აკაკი კონდრატეს-ძე კინწურაშვილი.

ტელევიზია

23 იანვარი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია — დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია — „ბურატინოს გამოფენა“, 11.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი მხარე“, 11.50 — „საკონცერტო დარბაზებში“ — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ი. გულიაევი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი — მხატვრული ფილმი „სისხლიანი ქვა“, 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 17.45 — ეთერშია „ახალგაზრდობა“ საკავშირო კომკავშირული კრება (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — განცხადებები, 18.20 — ბავშვებისათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმები „ბოგრიტი“ და „ხანძარი ფლიგელში“, 19.00 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“ — საინჟინრო ფსიქოლოგია, 19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან) 20.00 — საესტრადო კონცერტი, 20.30 — „საერთაშორისო დღიური“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — კონცერტი, 22.00 „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „მეშვიდე ცა“. დასასრულ — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

13.05 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ალბატროსის უკანასკნელი რეისი“, (IV სერია), 19.05 — კონცერტი, 19.45 — სატელევიზიო ფილმი „მოხოლოვი პუშკინზე“, 20.30 — საგანცხადებები, 20.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. პირველად ჩვენს ეკრანებზე მხატვრული ფილმი „ქალაქები და წლები“ (II სერია).

რადიო

24 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — შ. გუნო ნაწყვეტები ოპერიდან „რომეო და ჯულიეტა“, 11.45 — საუბარი „სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შეძლებადი გეგმები“, 12.15 — ეკრანის მელოდიები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ხალხური ლექსები, 12.45 — კონცერტი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ხ. ხუამოვი. უსაზეკური ხუიტა, 13.50 — მოსწავლეთათვის გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავენ მ. ფანიაშვილი და მ. ალთუნაშვილი, 17.20 — მოსწავლეთათვის. ნაწყვეტი ა. ნიკოლაევის წიგნიდან „კოსმოსი — უსასრულო გზა“, 18.05 — ზ. ფალიაშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „ლატავრა“, 18.45 — ფანტაზიები საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების თემებზე, 19.00 — „ხუთწლედს — დამკვრელური შრომა“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.45 — მღერის ო. ვორონეცი, 20.20 — ქართული კამერული მუსიკა, 20.45 — „მეცნიერებისა და ტექ